MES 6 23 0001.1/115

13/09/2023

№1.1/115

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის გამოცხადების დროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებული ადგილების ჯამური რაოდენობის შესაბამისობის შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 17 სექტემბრის №1.1/120 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება, **„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის გამოცხადების დროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებული ადგილების ჯამური რაოდენობის შესაბამისობის შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“** სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 17 სექტემბრის №1.1/120 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. **დაევალოს, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციების და ტექნოლოგიების სამსახურს, ამ ბრძანების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსება.**
3. დაევალოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურის უფროსის - სალომე ჯაფარიძის 2023 წლის 13 სექტემბრის №1137734 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი